ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ამერ-იმერი“- ის

კრების ოქმი N35

ქალაქი თბილისი, 2016 წ. 20 იანვარი

1) ამხანაგობის მისამართი: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N6/ა

2) ამხანაგობის თავჯდომარე: დავით ჩოჩიშვილი, პ/ნ. 59001003605

3) კრების ჩატარების ადგილი: პოლიტკოვსკაიას ქ. N6/ა, ბ. N5

4) კრების თავჯდომარედ არჩეულ იქნა დავით ჩოჩიშვილი, პ/ნ. 59001003605

5)კრებას დაესწრო ბინის მესაკუთრეთა 100 %

6) დღის წესრიგი: ამხანაგობა „ამერ-იმერის“ ტერიტორიაზე არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენება-დაშენებით წარდგენილი ესკიზის მიხედვით

7) მოისმინეს

ამხანაგობის წევრის ქალბატონი დარეჯან ბასილაიას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მასა და ამხანაგობის ყველა წევრს სურს შენობა #1-ის -3,2 მ. ნიშნულზე მოახდინონ გარე ფასადის შეცვლა, კერძოდ: 6-2 ღერძებში არსებული ავტოფარეხების შესასვლელმა კარმა გადმოიწიოს წინ 1,2 მ. მანძილით და შესასვლელზე მოეწყოს ერთფრთიანი კარი და ფანჯრები ესკიზის მიხედვით.

მომატებული ნაწილი არ სცილდება 0,00 მ. არსებული აივნის უკიდურეს კიდეს. დარეჯან ბასიალიამ წარმოადგინა ესკიზური ნახაზი, რომელიც ამხანაგობის წევრებმა მოიწონეს.

აზრი გამოთქვეს: ამხანაგობის დამფუძნებლებმა: მ. გელაშვილმა, დ. ჩოჩიშვილმა, ი. კობახიძემ. მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული ცვლილება ეზოს ინტერესებს არ დააზიანებს და გაალამაზებს საერთო ხედს.

ამხანაგობის თავმჯდომარემ დავით ჩოჩიშვილმა სთხოვა ამხანაგობის წევრებს ხელისმოწერით დაედასტურებინათ თანხმობა აღნიშნული ცვლილების შესახებ.

8) ამხანაგობა ,,ამერ-იმერის“ წევრებმა **ხმათა 100 % -ით გადაწყვიტეს:**

1. მოხდეს -3,2 მ. ნიშნულზე არსებული ავტოფარეხების რეკონსტრუქცია წარდგენილი ესკიზის მიხედვით

კრების თავმჯდომარე: (დ. ჩოჩიშვილი)

დავით ჩოჩიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160055573
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.01.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან გრიგოლია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593 127322
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	00221617932216

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას თექვსმეტი წლის ოცდასამ იანვარს მე, ქეთევან გრიგოლიას, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე მომმართა **დავით ჩოჩიშვილმა**, რომელმაც წარმომიდგინა **ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ამერ-იმერი"-ს კრების ოქმი №35** და განაცხადა. რომ სურს ოქმზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. **მე მას განვუმარტე, რომ არ ვამოწმებ უფლებამოსილებას, ოქმის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია არ ვიღებ პასუხისმგებლობას, მხოლოდ ვამოწმებ ოქმზე ხელმოწერას.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **დავით ჩოჩიშვილმა** (დაბ. 12.12.1967წ. დაბადების ადგილი: გორი, პირადობის მოწმობა №01082090, პირადი №59001003605, გაც. 31.07.2007წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ, მცხ. თბილისი, ჯიქიას ქ. №6, ბინა 5).

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

დავით ჩოჩიშვილმა წაიკითხა და განაცხადა, რომ ოქმი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე **ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ამერ-იმერი"-ს კრების ოქმი №35-ზე.**

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2 (ორი) ლარი - მუხლი 31.3 + დღგ 0.36 (ოცდათექვსმეტი) თეთრი - თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური – მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 4.36 (ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი.